განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„არქეოლოგია“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2019 წლის 14 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2019 წლის 9 დეკემბერი

თბილისი, 2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია მისი კოდის მითითებით	0222
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქ. ლიონეტ ბერტილე, CNRS/საფრანგეთის კოლეჯი, UMR 7192, საფრანგეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ემზარ კახიძე, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია არქეოლოგიის თითოეული დოქტორანტის მომზადება:

- მომავალ დამოუკიდებელ მკვლევრად, არქეოლოგიის სრული ცოდნით საერთაშორისო დონეზე (და განსაკუთრებით მის მიერ შერჩეულ სადისერტაციო თემაში)
- ათვისებული ექნება აკადემიური წერა,
- ათვისებული ექნება ერთი უცხო ენა მაინც,
- შეეძლება არქეოლოგიური გათხრების წარმართვა, მონაცემთა შესახებ სრულყოფილი ჩანაწერის მომზადება უახლესი სამეცნიერო მეთოდების გმაოყენებითდა სრული ანგარიშის წარმოდგენა,
- შეეძლება სხვადასხვა სპეციალისტებთან (გარემოს, გეომორფოლოგიის, პალეო-ანთროპოლოგიის, -ბიოლოგიის, -ბოტანიკის, -ზოოლოგიის, -მეტალურგიის და სხვ.) ყველა საჭირო ინტერდისციპლინური ურთიერთობების ზედამხედველობა,
- შეეძლება ადგილობრივად ან საერთაშორისო დონეზე თავისი სამუშაოსათვის დაფინანსების მოძიება,
- შეეძლება საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება,
- შეეძლება ძველ კოლექციებზე მუშაობა,
- შეეძლება ცოდნის გადაცემა მომავალი თაობისათვის,
- შეეძლება სტატიების პუბლიკაცია რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში.
- საგანმანათლებლო პროგრამა თითოეულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაცვლითი პროგრამებით წავიდეს უცხოეთში, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სიმპოზიუმებში, იმუშაოს უცხოელ გუნდებთან საქართველოში. უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის კარგი ელექტრონული კავშირები. იგი ასევე ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებაზე დოქტორანტურის დასრულების შემდეგ.
- ამ მიზნების მისაღწევად, საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა ორ, სასწავლო და კვლევით ნაწილებად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

  - 2019 წლის 14 ნოემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არქეოლოგიის ახალი სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად შეიკრიბა შემდეგი სამი ექსპერტი: დოქტორი ბერტილ ლიონეტი, UMR 7192, CNRS / საფრანგეთის კოლეჯი, საფრანგეთი (თავმჯდომარე), ემზარ კახიძე, ბათუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო (ექსპერტი) და ნიკა კიკნაძე, დოქტორანტი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო (ექსპერტი).

- პირველი შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 13 ნოემბერს, გრაკლიანის გორაკის არქეოლოგიურ უბნზევიზიტით, რომელიც გათხრილია საერთაშორისო სტუდენტური გუნდის მიერ პროგრამის ხელმძღვანელის მეთაურობით. ამას მოჰყვა მთელი დღის განმავლობაში ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2019 წლის 14 ნოემბერს, სადაც ჩვენ გვქონდა პროგრამის ხელმძღვანელ პირებთან და სტუდენტებთან შეხვედრისა და ამ საკითხებზე მსჯელობის შესაძლებლობა.
- ამ სამ ექსპერტს შეხვედრამდე მიეწოდა შეფასებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი და ჰქონდათ დრო მათ გასაცნობად და ჩამოეყალიბებიათ კითხვების ჩამოსაყალიბებლად.
- ადგილზე ვიზიტმა საშუალება მისცა მათ შეხვედროდნენ ამ პროგრამის ყველა პასუხისმგებელ პირს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებელებს, სტუდენტებს (3 დოქტორანტს და 3 კურსდამთავრებულს).

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სამივე ექსპერტი უკიდურესად აღფრთოვანებული დარჩა ზოგადი ცოდნის ძალიან მაღალი დონით, პროგრამების ათვისებით, ინგლისური ენის ფლობით, გაცვლით პროგრამებში დიდი რაოდენობით სტუდენტთა მონაწილეობითა და მათი მონდომებით. ისინი აშკარად არიან საერთაშორისო დონის სტუდენტები, რაც წარმოადგენს უნივერსიტეტისა და ამ სადოქტორო პროგრამის სურვილს.
- რა თქმა უნდა, თსუ-სა და მისი პროფესორების დიდი ძალისხმევა საერთაშორისო გაცვლებისა და თანამშრომლობის კუთხით ხელს უწყობს პროგრამის მაღალ დონეს, რადგან ეხმარება როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის მოტივირებას.
- ექსპერტები ასევე აღფრთოვანებული დარჩნენ სტუდენტებისთვისარსებული სასწავლო გარემოს ხარისხით (პროფესორები, ადმინისტრაცია, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) და მათდამი მუდმივი დახმარების გაწევის უზრუნველყოფით.
- ზოგადად, ექსპერტებზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის და თავად შენობის ხარისხმა.
- ექსპერტები თვლიან, რომ საერთო ჯამში, საგანმანათლებლო პროგრამა კარგად შეესაბამება სტანდარტებს და მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაცია და შემოთავაზებაა გამოთქმული ცვლილებების შესახებ.

- **რეკომენდაციების რეზიუმე**

- **რჩევების რეზიუმე**
  - რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ეფექტური პროგრამა (იხ. 1.1)

- ინგლისური ენა განსაკუთრებით უნდა მოითხოვებოდეს, როგორც დაშვების წინაპირობა (იხ. 2.1)
- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ სიახლეების კვლევის სფეროში დოქტორანტის სემინარი წამოწეული უნდა იყოს წინა პლანზე კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით (იხილეთ 2.2)
- რაც შეეხება სავალდებულო კურსებს, შეთავაზებულია სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა და მორგება პროგრამის მიღწევებზე. რაც შეეხება არჩევით კურსებს, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სხვა სილაბუსები (სხვა პროგრამული კურსების მორგება არქეოლოგიასთან დაკავშირებულ სფეროსთან). ექსპერტები ასევე თვლიან რომ სასურველი იქნება სხვა უცხო ენის სწავლების შეთავაზება.
- შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს უფრო გამჭვირვალე (იხ. 2.6)

- **საუკეთესო პრაქტიკის რეზიუმე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევ**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის გაანალიზების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავენ უნარებს, კვალიფიკაციებს და კომპეტენციებს, რომლებიც უნდა ჰქონდეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს და იმას, თუ როგორ შეაქვთ მათ წვლილი დისციპლინისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამა რელევანტურია და შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების გეგმას. თსუ იზიარებს ევროპის უნივერსიტეტების Magna Charta Universitatum-ით განსაზღვრულ იდეალებს. უნივერსიტეტის ღირებულებები ემყარება კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ

აზროვნებას, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს. არქეოლოგიაში სადოქტორო პროგრამის მიზანია,დარგშიარსებული პრობლემების გადასაჭრელად, სფეროს სტანდარტების შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე მკვლევარის მომზადება. არქეოლოგიის აღნიშნული სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტის ინტელექტუალური განვითარების, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთკავშირის გაძლიერებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და სფეროში ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვის ხელშეწყობას. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომისბაზრის მოთხოვნებს მეცნიერებისა და კვლევების მიმართ. მიზნები არის საჯარო, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და გაზიარებულია პროგრამის დაინტერესებული მხარეების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

ექსპერტების მიერ რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ეფექტური პროგრამის შემუშავება. როგორც ჩანს, არ არსებობს რაიმე რეალური მცდელობა საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებისა. საზღვარგარეთ შემოთავაზებული იშვიათი შესაძლებლობებისა და ადგილობრივი ბაზარზე გაცილებით უკეთესი შესაძლებლობების გამო, ეს საკითხი შეიძლება ამოღებულ იქნეს მიზნებიდან.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

[redacted]შესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐არშეესაბამებამოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტის ანალიზის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მიზნებს (განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით, დამტკიცებული განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის # 69 /ნ ბრძანებით, და ეფუძნება თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 ნოემბრის N224 დადგენილებას "2011 წლის 25 ივლისის # 77/2011 დადგენილებაში "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე"). სწავლის შედეგები განსაზღვრულიადარგის სტანდარტით და პროგრამის მიზნებით. სწავლის შედეგების აღწერა მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს, როგორებიცაა (ა) ცოდნა და გაცნობიერება, (ბ) უნარები, (გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგების აღწერა კარგადაა დაბალანსებული და ახდენს ზოგადი უნარების კომბინირებას არქეოლოგიის დარგის შინაარსზე უშუალო მითითებით. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ იგი რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები აღწერილია, ხოლო თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი პროგრამის კურიკულუმის რუკა ნათლად მიუთითებს თითოეული კურსის სწავლის შედეგების დონეს. სწავლის შედეგები იზომება რამდენიმე კრიტერიუმით, მათ შორისაა სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევებისხარისხის შეფასება პრეზენტაციების საფუძველზე, გამოქვეყნებული ნამუშევრების, დასაქმების ინდიკატორების და თითოეული სემესტრის ან კვლევის კომპონენტის განმავლობაში განხორციელებული სხვა მექანიზმების საშუალებით. პროგრამაში ჩართული აკადემიურპერსონალსდეტალურად აცნობენშეფასების შედეგებს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 ნოემბრის N224 / 2018 დადგენილება "აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის N77 / 2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე" "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ". (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/2242018 //); o საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება N69 / ნ "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ"" (https://matsne.gov.ge/ka/document/view/4480034?publication=0); o პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1) o თვითშეფასების ანგარიში. o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან o კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების ანალიზი (დანართი 9) o კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 17)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: იხილე ქვემოთ § 2.3-ში კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გამოადგება სტუდენტებს,ხოლო სილაბუსი უფრო მეტად უნდა იყოს დაკავშირებული არქეოლოგიასთან.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	დიახ			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტის ანალიზის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დაშვების წინაპირობები, ანუ მაგისტრის ხარისხის, ერთ-ერთი ევროპულ სამეცნიერო ენის მინიმუმ B2 დონეზე ფლობა, სამეცნიერო ხელმძღვანელის და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა და მიმღები

კომიტეტის მიერ დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ რეკომენდაცია შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამაზე დაშვება არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი. დოქტორანტს ეძლევა დოკუმენტების ნუსხა, წარდგენის ბოლო ვადების მითითებით, გამოცდების ნუსხა, ხელშეკრულება და ჩარიცხვის ბრძანება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა და მისი აღწერილობა (დანართი 1); o თსუ-ს ვებ-გვერდი; www.tsu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ვინაიდან, ინგლისური ყველაზე ხშირად გამოყენებადი საერთაშორისო ენაა და რადგან კურსები ხშირად დაკავშირებულია სავალდებულო ლიტერატურასთან ინგლისურ ენაზე, სტუდენტთა მიმართ მოთხოვნა დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე B2 დონეზე უცხო ენის ფლობასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა, ხოლო გერმანული და ფრანგული ენა უნდა იყოს დატოვებული როგორც სასურველი.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■შესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ს საგანმათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტის ანალიზის შემდეგ, ექსპერტი ჯგუფი თვლის, რომ პროგრამა თანმიმდევრული და ლოგიკურია და უზრუნველყოფს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამის მინიმალურ სტანდარტებთან ერთად, დოკუმენტები იძლევა სწავლისა და კვლევის კომპონენტების განსაზღვრებას. ექსპერტებს ესმით, რომ პალეოანთროპოლოგია ახლა გამოყოფილია ჰუმანიტარულ მეცნიერებებიდან და შეიძლება მიგვიყვანოს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირებული ცალკე დოქტორანტურის წარმოქმნასთან. სადოქტორო პროგრამა 3 წელიანია. სასწავლო კომპონენტის მოცულობა 40 ECTS, მათ შორის ძირითადი კურსები 25 ECTS (საველე არქეოლოგია და ლაბორატორიული კვლევის მეთოდოლოგია - 5 ECTS; სადოქტორო სემინარი - 15 ECTS; პროფესორის ასისტირება - 5 ECTS) + 15 ECTS არჩევითი კურსები, სტუდენტის ინტერესისა და სპეციალობის მიხედვით. კვლევის კომპონენტი მოიცავს სადოქტორო დისერტაციას და დოქტორანტთა ორ სამეცნიერო-კვლევით პროექტს. ძირითად და არჩევით კურსებთან ერთად, მონაწილეობა სემინარებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში აუმჯობესებს სტუდენტების უნარებს. ამ პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს დედუქციური და კრიტიკული უნარების ჩამოყალიბებას და სტუდენტის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები აკადემიურ პერსონალთან ერთად, ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა (დანართი 1); o საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება N168; o თსუ-ს აკადემიური საბჭოს N26/2011წ., N20/2014წ. and N245/2018 წ. დადგენილებები; o პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის რეკომენდებული მეთოდოლოგია; o პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის განსაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან; o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: სასურველია სხვადასხვა კურსებზე კრედიტების განაწილებაში ცვლილების შეტანას. სასურველია დოქტორანტის სემინარი უფრო მეტად ორიენტირებული იყოს სიახლეებზე კვლევის სფეროში კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე დარგის/ლაბორატორიული სამუშაოების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted]შესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

2.3 სასწავლო კურსი
➢ თითოეული ძირითადი კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია

პროგრამის სწავლის შედეგებთან; გარდა ამისა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები ზოგადად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. რაც შეეხება ძირითად კურსებს, ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება იმ მნიშვნელოვნებას, რომელიც მინიჭებული აქვსა არქეოლოგიის სფეროს და ახალ ლაბორატორიულ მეთოდოლოგიებს, ასევე, ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ურთიერთკავშირს სხვა მეცნიერებებთან. სტუდენტის ვალდებულებაა წარმოადგინოს ერთი სადოქტორო სფეროს სემინარი, რაც განიხილება ძალიან პოზიტიურ გადაწყვეტილებად, რადგან იგი ამზადებს დოქტორანტს შემდგომი სწავლებისა და საჯარო პრეზენტაციებისათვის და აძლიერებს ცოდნას მისისადისერტაციო სფეროს ფარგლებს გარეთ. პროფესორის ასისტირების სავალდებულო კომპონენტი, ასევე, დადებითად განიხილება, რადგან იგი ამზადებს დოქტორანტს მომავალი ტუტორობისთვის. რაც შეეხება არჩევით კურსებს, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ისინი დოქტორანტებისათვის არასოდეს არ უნდა იყოს ძალიან ბევრი, რათა დოქტორანტს ჰქონდეს დრო თავისი კვლევისა და წერისათვის და, რაც მთავარია, ისინი ძალიან არ უნდა ჩამოშორდნენ აკადემიურ ან რეალურ არქეოლოგიურ დარგსა და კვლევით საქმიანობას. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაციები და რჩევები ცვლილებების განხორციელეებისთაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა და მისი აღწერილობა (იხ. დანართი 1); • არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები (იხ. დანართი 1); • პროგრამის შედეგების რუკა (სწავლის შედეგები) (იხ. დანართი 9); • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (იხ. დანართი 17); • ინტერვიუები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: სავალდებულო კურსების თვალსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ, რომ სავალდებულო ლიტერატურა უნდა გადაიხედოს, რადგან ყველა მათგანი არ არის დაკავშირებული მიღწევებთან. რაც სეეხება დარაჩენ კურსებს მათ შორის არჩევით კურსებს, ბევრი მათგანი არ არის კავშირში არქეოლოგიის დარგთან, სტუდენტები უფრო მეტს ისწავლიან თუ გათვალისწინებული იქნება სხვა არქეოლოგიასთან დაკავშირებული კომპიუტერული კურსები, როგორიც არის File-Maker-ის ან Excel–ისპროგრამების კურსები, რათა დაეხმაროს სტუდენტს მონაცემთა ბაზაში შექმნასა და გამოიყენებაში, ან კურსი GIS-ში, რათა მათ შეეძლოთ გათხრების ან გამოკითხვებისგან ყველა აღმოჩენის აღნუსხვა, იქნებოდა უფრო მომგებიანი არქეოლოგიის დოქტორანტებისათვის. ასევე კვლევის სფეროდან გამომდინარე სასურველი იქნება სხვა უცხო ენის სწავლება.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■შესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პრაქტიკული სამეცნიერო / კვლევითი / კრეატიული / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება კარგად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სტუდენტებს აქვთ სხვადასხვა ერთობლივი საერთაშორისო გათხრებსა და პროექტებში მონაწილეობის დიდი არჩევანი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათთან და აკადემიურ პერსონალთან გამართულმა დისკუსიებმა აჩვენა, რომ ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს მათ ჩამოყალიბებაში, ახალი ტექნოლოგიების მიმართ და მიღებული მონაცემების დაუფლების საქმეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დოკუმენტაცია დანართში 13 o ვიზიტი გრაკლიანის მთის გათხრებზე o დისკუსიები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტების ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის შემდეგ, ექსპერტი ჯგუფი თვლის, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის მიზნების მიღწევას. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან არაერთმა დისკუსიამ აჩვენა შედეგების მაღალი ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები (იხ. დანართი 1); o სწავლის შედეგების შეფასების მეტოდები (დანართი 9) o დისკუსიააკადემიურ პერსონალთან o დისკუსია სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საშუალებით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ადასტურებს, რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხდება სწავლის განმავლობაში და დასრულებისას, შეფასება ასევე ხორციელდება ადაპტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების და ევროპული სტანდარტების შესაბამისად, უსდ-ს ჩამოაყალიბებული აქვს სტუდენტთა შეფასების სისტემა შეფასების პროცედურების

შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები პროგრამის სასწავლო და კვლევის კომპონენტებისათვის მკაფიოდაა წარმოდგენილი. სტუდენტთა შეფასება ემყარება მათ მოსწრებას მთელი კურსის განმავლობაში. საბოლოოშეფასება შედგება ორი ნაწილისაგან: შუალედური შეფასებისა და საბოლოო შეფასებისაგან. შუალედური შეფასება შედგება რამოდენიმე კომპონენტისაგან. შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსსა და მის სწავლის შედეგებს. კრიტერიუმების უფრო მკაფიო განმარტებამ შესაძლოა გააუმჯობესოს ზოგიერთი კურსის შეფასება (მაგალითად, არქეოლოგიის დარგის მეთოდოლოგია და ლაბორატორიული კვლევები და არჩევითი კურსების უმეტესობა). სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოთვლა წარმოებს გამჭვირვალე მეთოდით, თსუ-ში მოქმედი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა(ECTS). დოქტორანტები კურსების დაწყებამდე არიან ინფორმირებულნი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ. ასევე, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და ევროპული სტანდარტების ადეკვატურია ინდივიდუალური სადოქტორო კვლევითი პროგრამის ორგანიზება და შეფასება, რომლის მიზანია დოქტორანტის გაწვრთნა დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის, მათ შორის სადოქტორო დისერტაციისათვის. სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების გასაჩივრება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი პროცედურის თანახმად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o სადოქტორო პროგრამა o სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები; o "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოანგარიშების წესი", დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით. o ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს. o დაცული დისერტაციები
რეკომენდაციები: ექსპერტთა ჯგუფი გირჩევთ, შეფასების კრიტერიუმები გახადოთ უფრო გამჭვირვალე.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted]შესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	დიახ			

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შესაბამისი სერვისების შეთავაზებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სტუდენტებს აცნობს აღნიშნულ სერვისებს, ატარებს ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტთა ხელშეწყობისათვის აუცილებელი ყველა მომსახურება. აკადემიური პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, თსუ აწარმოებს საკონსულტაციო მომსახურებას, რომელსაც უზრუნველყოფს ცენტრალური ადმინისტრაცია, აგრეთვე ფაკულტეტი და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი; ყველა მათგანი მუშაობს კოორდინირებულად. სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით. თსუ-ს ყველა სტუდენტს, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალს, აქვთ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართები. სასწავლო პროცესის განმავლობაში, სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი ლექტორისგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია ელ.ფოსტის საშუალებით - საკონტაქტო ინფორმაცია ლექტორებზე (ტელეფონის ნომრების ჩათვლით), რომლებიც წარმართავენ კონკრეტულ კურსებს,

სამუშაო ჯგუფებს ან პრაქტიკას, როგორც ეს მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით გაერთიანებებში; მათ ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, მაგ. არქეოლოგიის სამეცნიერო საგანმანათლებლო ინსტიტუტის მაღალი ჩართულობა Erasmus + პროგრამაში, რაც წარმოადგენს ევროპული უნივერსიტეტების ლექტორებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობების გაცვლის საფუძველს. გარდა ამისა, ინტერვიუირებული სტუდენტები ადასტურებენ ინსტიტუტის ფინანსურ დახმარებას დოქტორანტთა მობილობაში და მათ თავისუფალ გადაადგილებას სწავლება/სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მათი პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დოქტორანტები ასევე მონაწილეობენ არქეოლოგიურ გათხრებში გრაკლიანის გორაზე. ექსპერტთა ჯგუფი აღფრთოვანებული დარჩა იმით, რომ პროფილითდასაქმების მაჩვენებელი 100% -ია. კონკრეტული კურსის საკონსულტაციო საათები მითითებულია სილაბუსში და ასევე გაჟღერებულია ლექტორის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან o უნივერსიტეტის ვებ-საიტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა,

რომ დოქტორანტის ხელმძღვანელობის კუთხით პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს კარგად ჩამოყალიბებული დოკუმენტი სადოქტორო ხარისხის მინიმალური სტანდარტების შესახებ (ყველა შესაძლო დანართითურთ), რომელიც არეგულირებს კვლევითი პროექტის მომზადების პროცესს დოქტორანტებისთვის, რომელთაც სურთ დოქტორის ხარისხის მოპოვება. დოკუმენტი შეიცავს დეტალურ ინფორმაციას მიზნებისა და ამოცანების, ტერმინოლოგიის თავისებურებების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების, ხელმძღვანელის (აგრეთვე ხელმძღვანელის შერჩევის შესახებ), აკადემიური და კვლევითი კომპონენტების, დისერტაციის შესახებ (დანართებით, მისი ზუსტი სტრუქტურით და შეფასებით). ასევე თავად მისი დაცვის შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები შერჩეულია საკვლევ თემაში სამეცნირო-კვლევითი გამოცდილების შესაბამისად. სადისერტაციო თემა და ხელმძღვანელი მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალით. სადოქტორო პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გამო და თავად კვლევის თემიდან გამომდინარე, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს არაერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე უცხოელი კონსულტანტი. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს. სამეცნიერო ხელმძღვანელთან დოქტორანტის მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა წარედგინოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას ყოველი სემესტრის ბოლოს, დადგენილ ვადებში, ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ანგარიშის განხილვას არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო დეპარტამენტში. ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუირებულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ხელმძღვანელები რეგულარულად ატარებენ მათთან საკონსულტაციო შეხვედრებს.ისინი რჩევებს აძლევენ სტუდენტებს შესაბამისი ლიტერატურის, კვლევების შესახებ, აწვდიან მათ ინფორმაციას კვლევის დიზაინის შესახებ. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან o უნივერსიტეტის ვებ-საიტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალურ ი მუშაობა	დიახ			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევაში; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის პერსონალი აკმაყოფილებს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებს. აკადემიური პერსონალის დიდი რაოდენობა (13), რომელსაც ემატება 4 მოწვეული უცხო პირი, მათი კვალიფიკაციის მოთხოვნებთან ერთად, წარმოადგენს სწავლების ხარისხის გარანტიას. ადმინისტრაცია ასევე სთავაზობს სტუდენტებს ძალიან მნიშვნელოვან და მუდმივ მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დადგენილებები N118/2014წ., N122/2014წ., N64/2018, N81/2018წ.
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან

☐არშეესაბამებამოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევით მუშაობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად, შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ძალიან დადებითად მიიჩნევს, რომ თსუ ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ეხმარება მის სხვადასხვა წევრს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროექტებში ან უცხოელ კოლეგებთან ერთად კვლევით საქმიანობაში. სამეცნიერო საქმიანობა ყოველწლიურად ფასდება მათი სამეცნიერო პროდუქტიულობითა და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობით. არქეოლოგიის დეპარტამენტი, ასევე, ყოველწლიურად აწყობს საერთაშორისო ახალგაზრდულ კონფერენციას და მის საბჭოში შედიან ცნობილი უცხოელი არქეოლოგები. აკადემიური პერსონალის ამგვარი ჩართულობა უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობაში იძლევა მათი მუდმივი ინფორმირების გარანტიას არქეოლოგიის სფეროში სიახლეების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის წლიური სამეცნიერო ანგარიშები https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/scientific_research/report/

o სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიშების პროგრამებიhttps://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/scientific_research/12ldufzruhrnwol5z/p6q4xqpddq4u3khwi// o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფს, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლია ვიზუალურად დაადასტუროს უნივერსიტეტის შენობისა და სასწავლო ოთახებისა თუ სალექციო აუდიტორიების, ისევე, როგორც გარემოს (ბაღი და კაფეტერია) შესანიშნავი მდგომარეობა. ექსპერტებს შეუძლიათ დაადასტურონ WiFi-ის შესანიშნავი ხარისხი. მათ აგრეთვე შეძლეს ბიბლიოთეკის მონახულება და ნახეს, რომ ბიბლიოთეკის გარე კავშირები მუშაობს, რომ ადგილი კარგად ორგანიზებული და მშვიდია, რომ სტუდენტები იყენებენ მას. არქეოლოგიისადმი მიძღვნილი საგამოფენო დარბაზი მზადების სტადიაშია, ხოლო სარესტავრაციო ლაბორატორია ფუნქციონირებს. უზრუნველყოფილია ძალიან კარგი ენობრივი / მთარგმნელობითი (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) მომსახურება. უნივერსიტეტის პერსონალი, როგორც თავად მოვისმინეთ, სრულ თანამშრომლობაშია სტუდენტებთან, არა მხოლოდ სწავლის კუთხით, არამედ ეხმარება მათ გრანტებისა / სახსრების მოძიებაში კვლევისთვის ან საზღვარგარეთ გამგზავრების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება (დანართი 4); o დადგენილება N35/02-01, 2018წ. "სსიპ თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის

პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე" o ვიზიტი უნივერსიტეტსა და მის ბიბლიოთეკაში o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თსუ-ს მიერ ჰუმანიტარული ფაკულტეტისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი ორიენტირებულია დოქტორანტურისთვის მაქსიმალური ფინანსური დახმარების გაწევაზე. მზარდი ნაწილი ეძღვნება მაღალკვალიფიციური კადრების ჩართვას და სამეცნიერო მოგზაურობებსა და კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვას. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ ხარჯების განხილვისა და დამტკიცების პროცესში მონაწილეობს არა მხოლოდ აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალი, არამედ სტუდენტებიც იღებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 14)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	დიახ			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფმა, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ოპერირებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური კურსების შეფასებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს კონსულტაციები სხვადასხვა პერსონალთან და სტუდენტებთან, რათა შეამოწმოს მთლიანი ხარისხი და კმაყოფილება, განსაკუთრებულაქცენტსკეთებს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 4) o ბრძანებები N02/03 and N04/03 2018წ., and N01/03 2019წ. o დადგენილება N67/2018წ. o პროგრამის განმახორციელებლების გამოკითხვა (დანართი 17) o ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხი
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფმა, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, დაასკვნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითვალისწინებს პროგრამის გასაუმჯობესებლად შეთავაზებულ რეკომენდაციებს. ეს სამსახური გამჭვირვალეა და აქვს მთავარი მიზანი - აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ხარისხი. იგი მუშაობისას მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა ქართულ თუ უცხოურ უნივერსიტეტებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1); o დადგენილება N80/2018წ. o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზისმეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, დარწმუნდა გამჭვირვალობაში, რომლითაც პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები და მომზადდა ახალი სილაბუსები, მთელი ჩართული პერსონალის (აკადემიური პერსონალი, თსუ, სტუდენტები) რეკომენდაციების გათვალისწინებით. ახალი პროგრამა შეფასდა და გაუმჯობესდა კითხვარების მეშვეობით. გაიზარდა კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა რაოდენობა კომიტეტის შემადგენლობაში. მოეწყო შეხვედრები, გაიმართა სამუშაო ჯგუფები და სტუდენტთა გამოკითხვები. ყოველივე ეს იძლევა ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირების საშუალებას. არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის განხორციელება გააანალიზა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, რათა დაედგინა მისი შესაბამისობა თსუ-ს შეფასების წესთან. ამის შემდეგ, ახალი წინადადებები წარუდგინა დაინტერესებულ მხარეებს და განიხილამათთან ერთად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o დადგენილება N67/2018წ. o საგანამანათლებლო კურსების/ლექციების შეფასების თაობაზე სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 17) o არქეოლოგიის საგანმანათლებლო-სამეცნიერო კათედრის სხდომის ოქმი (დანართი 2)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა ზოგიერთი არასავალდებულო კურსის შეცვლა (2.3)

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან ☐არშეესაბამებამოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	დიახ			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
არქიტექტურის სადოქტორო პროგრამა

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: **24**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს	დიახ			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება	დიახ			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	დიახ			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	დიახ			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	დიახ			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის დოქ. ლიონეტ ბერტილე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ემზარ კახიძე

ნიკა კიკნაძე